

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №33

ქ. თბილისი

2018 წელი, 7 დეკემბერი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით უთმელიძე, ბექა დავითულიანი, თევდორე ისაკაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, გოჩა თევდორაძე,

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩიშვილი (საპატიო), დავით უჯმაჯურიძე, გიორგი გაბაშვილი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
მარიამ თავაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
ნინო კვეტენაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(12-0318326180-03)

- 1) ქალაქ თბილისში, ჩახრუხადის ქუჩა N25-N27-ის მინდებარედ; ქალაქი თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.016.045, ნაკ. N16/4)

ნაწილზე(ფართობი: 5 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

- 2) ქალაქ თბილისში, ა.წერეთლის გამზირი N89-ში არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.089; N01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფართობი: 274 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება
- 3) ქალაქ თბილისში, თემქა, N138-ე სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ) მოგვმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის N1200 წერილის საფუძველზე, სადაც მოითხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

(12-0318326191-03)

- 4) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059) ნაწილზე 39 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.
- 5) ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის N16-ში (ნაკვ. 8/22) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.022) და ჩრ. მხრიდან მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ) მოთხოვნილია სანიტარული ზონის (საწზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

2. ქ. თბილისში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქუჩა N10ა-ში, შ.პ.ს "სამშენებლო კომპანია ახალი სტილი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივ - საქმიანი, სავაჭრო - საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/120 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-03183254-03)

3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320

განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031831942-03)

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5/ჯიქიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი მიკრო - უბანის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 31 მარტის N676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031831965-03)
5. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N31-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (12-031832495-03)
6. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტალის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031833132-03)
7. ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.14.05.008.204) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318323133-03)
8. ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-03183349-03).
9. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მ/რ-ის კორპ.№28-ში (ს/კ№01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ.(№12-0318271148-03)
10. ქ.თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში (საკ/კოდი№01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (#12-031828869-03)

11. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ.კორპ.№29-ში (საკ/კოდი: №01.19.20.009.003.01.303) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (#12-031828869-03)
12. ქ.თბილისში, გლდანის I მ/რ-ის კორპ.№15-ში (საკ/კოდი: №01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ თანხმობის მიცემის თაობაზე (#12-031828869-03)
13. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:№01.16.05.032.024) 23 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/ნ 202911055) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-0318317113-03)
14. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მაინიასთვის“(ს/ნ 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.(№12-0318317113-03)
15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი:№01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/ რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი “ აი ია“-სთვის (ს/ნ:404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-0318317113-03)
16. ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:№01.16.05.032.024) 30 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუზრა ტატიშვილისთვის (პ/ნ 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (№12-031832030-03)
17. ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)
18. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს

„მოდინახე“-სთვის (ს/ნ 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

19. ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.14.11.036.011) პირდაპირი განკარგვის წესით მაია ჩავლეიშვილისთვის (პ/ნ:01021017124) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)
20. ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანი“-სთვის (ს/ნ 405241563) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)
21. ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: №01.18.03.061.041) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტ - მონტესთვის“ (ს/ნ 406159151) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)
22. ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.13.012.030) პირდაპირი განკარგვის წესით თამარ შეითნიშვილისთვის (პ/ნ 01005002157) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)
23. ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 66 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პასტორალისთვის“ (ს/ნ 404432716) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)
24. ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის III მ/რ, კორპ.№8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031832031-03)
25. ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ.№34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში ,ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031823134-03)

26. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-03183345-03)
27. ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 37 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა“-სთვის (ს/ნ:404433029) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)
28. ქალაქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზ.№25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.15.010.022) პირდაპირი განკარგვის წესით მზია ბიწაძისთვის (პ/ნ 01024036486) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)
29. ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ.№18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031832031-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(12-0318326180-03)

- 1) ქალაქ თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩა N25-N27-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.016.045, ნაკ.№16/4) ნაწილზე(ფართობი: 5 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

- 2) ქალაქ თბილისში, ა.წერეთლის გამზირი N89-ში არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.089; N01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფართობი: 274 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება
- 3) ქალაქ თბილისში, თემქა, N138-ე სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ) მოგეგმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის N1200 წერილის საფუძველზე, სადაც მოითხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

(12-0318326191-03)

- 4) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059) ნაწილზე 39 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.
- 5) ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის N16-ში (ნაკვ. 8/22) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.022) და ჩრ. მხრიდან მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ) მოთხოვნილია სანიტარული ზონის (საზზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ ა/წლის 22 ნოემბრის #12-0318326191-03 და 12-0318326180-03 წერილებით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა ეკა ცეცხლაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 5 წინადადება, კერძოდ:

- 1) ქალაქ თბილისში, ჩახრუხადის ქუჩა N25-N27-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტრო ქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.016.045, ნაკ. N16/4) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა - ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ჩახრუხადის ქუჩა N25-N27-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.016.045, ნაკ. N16/4) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

- 2) ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N89-ში არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.089; N01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფართობი: 274 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ცვლილების მიზანი არის ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის აღიარების ლეგალიზების კომისიაზე გატანა, რომელზეც განთავსებულია ძველად აშენებული შენობა - ნაგებობა და ასახულია ძველ ორთოფოტო გადაღებებზეც. ასევე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა - ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ა.წერეთლის გამზირი N89-ში არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.004.089; N01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფართობი: 274 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

- 3) ქალაქ თბილისში, თემქა, N138-ე სკოლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ) მოგვმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდგომარეობის 2018 წლის 23 ოქტომბრის N1200 წერილის საფუძველზე, სადაც მოითხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ეკლესიის მშენებლობა. ტერიტორიის

მდებარეობა და არსებული მწვანე საფარი იძლევა საშუალებას მოხდეს მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის ათვისება და სამშენებლო განვითარება ისე, რომ მწვანე ნარგავები იქნეს შენარჩუნებული. ასევე, 2018 წლის 7 ნოემბრის N18-01183113848 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილ ტერიტორიაზე (ფართობი: 2 916 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილებას და საპროექტო ტერიტორიის ისე განვითარებას, რომ მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული არსებული მწვანე ნარგავები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, თემქა, N138-ე სკოლის მიმდებარედარესებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

- 4) ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059) ნაწილზე 39 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, 2004 წლის აეროგადაღების მიხედვით არ აღინიშნება საგზაო ან საფეხმავლო გზა, რასაც ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 14 ნოემბრის N01183183168 წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. შესაბამისად ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059) ნაწილზე 39 კვ.მ ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.
- 5) ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის N16-ში (ნაკვ. 8/22) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.022) და ჩრ. მხრიდან მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ) მოთხოვნილია სანიტარული ზონის (სანზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ფაქტობრივი მდგომარეობით დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სამრეწველო ზონის შემადგენელ-განუყოფელ სივრცით ნაწილს ისევე, როგორც მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ N01.19.33.008.255; N01.19.33.001.117; N01.19.33.008.015). ასევე, არსებული ტერიტორია არ შეესაბამება გავრცელებულ სანიტარულ ზონას, არ გაჩნია მავნე ზემოქმედებისაგან დამცავი ან გამაჯანსაღებელი ფუნქცია. არსებული მდგომარეობით ეს უკანასკნელი მოიცავს შენობა-ნაგებობის საძირკვლის

ნარჩენებით დაკავებულ არეალს. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) რეჟიმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კინძმარაულის ქუჩის N16-ში (ნაკვ. 8/22) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.33.008.022) და ჩრ. მხრიდან მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ) სანიტარული ზონის (სანზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 5 წინადადება გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. ქ. თბილისში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქუჩა N10ა-ში, შ.პ.ს „სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივ - საქმიანი, სავაჭრო - საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/120 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-03183254-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. N22, 68ა, ლუბლიანას ქ. N11, 11ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.010.085, N01.13.02.010.059, .13.02.010.057, N01.13.02.010.058, N01.13.02.010.060, N01.13.02.010.070, N01.13.02.010.071, 01.13.02.010.076, N01.13.02.010.075, N01.13.02.010.074, N01.13.02.010.073, N01.13.02.010.042, .13.02.010.052), რომელთა საერთო ფართობი მოიცავს 47 907 კვ.მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური

გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/120 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმა ბოლოჯერ დაკორექტირდა „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. N22, N68ა, ლუბლიანას ქ. N11, 11ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის N237 განკარგულებით, რომლის შესაბამისადაც საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონირება განისაზღვრა შემდეგნაირად: საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის N237 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით, მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის დადგენილია შემდეგი ქალაქთმშენებლობითი მონაცემები:

კ-1= 0.3 საანგარიშო ფართობი 13 433,9 კვ.მ.

კ-2= 3.0 საანგარიშო ფართობი 142 824,1 კვ.მ.

კ-3=0.2 საანგარიშო ფართობი 10 462,8 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორიაზე, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის უმეტეს ნაწილზე დასრულებულია მშენებლობა, ხოლო ნაწილზე გაცემულია მშენებლობის ნებართვები და მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

N01182061547-67 (N01183031212-67, 30.10.2018) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ითვალისწინებს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომელზეც არ განხორციელებულა მშენებლობა, კერძოდ ბლოკ N7¹-ს (01.13.02.010.071 ფართობი: 1600 კვ.მ.) და ბლოკ N8-ს (01.13.02.010.060 ფართობი: 2170 კვ.მ.) საპროექტო წინადადების შესაბამისად, ერთიანდება აღნიშნული ორი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მოცულობები ისე, რომ არ იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის N237 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების კორექტირებული პროექტით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მიხედვით მიწის ნაკვეთებისთვის განსაზღვრული განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობი. კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის N237 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მიხედვით, ბლოკი N7¹-სთვის (01.13.02.010.071, ფართობი: 1600 კვ.მ.) კ-1=0.5-ს, კ-2=3.9-ს და კ-3=0.1-ს (18 სართული), ხოლო ბლოკი N8-

თვის (01.13.02.010.060, ფართობი: 2170 კვ.მ.) კ-1=0,3-ს,კ-2=3.0-ს და კ-3=0.3-ს (14-16 სართული).

N01182061547-67 (N01183031212-67, 30.10.2018) განცხადებაზე წარმოდგენილი კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადების მიხედვით, ბლოკ N7¹-ს და ბლოკ N8-ს მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაერთიანებით მიღებულ ბლოკზე (ფართობი: 3770 კვ.მ.) დაუდგინდა შემდეგი პარამეტრები: კ-1=0.5, კ-2=3.4, კ-3=0.2 (16-19 სართული)

კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო წინადადების მიხედვით, უცვლელი რჩება მთლიანი საპროექტო ტერიტორიისათვის დადგენილი ჯამური მონაცემები:

კ-1= 0,3 საანგარიშო ფართობი 13 433,9 კვ.მ.

კ-2= 3,0 საანგარიშო ფართობი 142 824,1 კვ.მ.

კ-3=0,2 საანგარიშო ფართობი 10 462,8 კვ.მ.

საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი შესაბამისობაშია ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 დეკემბრის N2804 ბრძანებით შეთანხმებულ ქალაქთმშენებლობით პირობებთან.

N01182061547-67 (N01183031212-67, 30.10.2018) განცხადებაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არსებითად არ ცვლის დამტკიცებული პროექტით დაგეგმილ განაშენიანებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქ. თბილისში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქუჩა N10ა-ში, შ.პ.ს “სამშენებლო კომპანია ახალი სტილი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივ - საქმიანი, სავაჭრო - საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/120 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182061547-67 (01183031212-67) განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031831942-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისთან (საკადასტრო კოდები: N81.02.21.148, N81.02.21.149, N81.02.21.253, N81.02.21.254, N81.02.21.255, N81.02.21.256, N81.02.21.265, N81.02.21.266) და მოიცავს 8001 კვ.მ-ს.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N157 განკარგულების დამტკიცებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ხოლო „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N157 განკარგულების დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული მოთხოვნები („1. გათვალისწინებული იქნეს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2016 წლის 20 აპრილის N20 სხდომის რეკომენდაციები; 2. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებული იქნეს საპროექტო არეალების გამოყოფა და რეგულირების ხაზების დასმა“) გათვალისწინებულ იქნა „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

„ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო 8 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზებისა და განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზების გათვალისწინებით, რომელთა დაშორება საპროექტო ღობის საზღვრებიდან შეადგენდა 7,74 მეტრიდან 10 მეტრამდე. ფუნქციური ზონირება არის საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხოლო ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია: კ-1=0.5, კ-2=0.8, კ-3=0.3, სართულიანობა 2-3 სართული. აგრეთვე, N81.02.21.266საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტით და წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარე მიწის ნაკვეთებამდე.

N01182623326-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, დაგეგმილია მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმის ცვლილება, 8 საცხოვრებელი ერთეულის ნაცვლად 7 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება და აგრეთვე, დადგენილი განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზების შემცირება საპროექტო ღობის საზღვრებიდან 7 მეტრამდე. ასევე, ზუსტდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-) საზღვრები საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო რეგულირების (წითელი) ხაზები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი (კ-1=0.5, კ-2=0.8, კ-3=0.3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 4 ოქტომბრის N01182771438 წერილის მიხედვით, N01182623326-67 განცხადებით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც დამუშავებულია ქ. თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე (N81.02.21.148; N81.02.21.149; N81.02.21.253; N81.02.21.254; N81.02.21.255; N81.02.21.256; N81.02.21.265; N81.02.21.266) მიწის ნაკვეთებზე, მოიცავს ზოგად გამწვანების სისტემას, რომელზედაც სამსახურს ამ ეტაპზე შენიშვნა არ გააჩნია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია (წერილი N16-0118208340, 27.07.2018) წარმოდგენილ იქნა 2018 წლის 02 ივლისის N0118183775-67 განცხადებაზე, რომელიც ტექნიკური ხარვეზის გამო დარჩა განუხილველი. აღნიშნული წერილის მიხედვით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტში 2018 წლის 10 ივლისს შესული ცვლილების თანახმად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო

პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა „თუ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა გულისხმობს დამტკიცებულ საპროექტო გადაწყვეტაში არსებითად განსხვავებული ქალაქმშენებლობითი მახასიათებლების (განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის ზრდა, შენობა-ნაგებობების ფუნქციისა და განთავსების ცვლილება, სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზების ცვლილება და სხვა) ცვლილებას.“

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი არ გულისხმობს რაიმე სახის არსებით ცვლილებას, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში, არ არის კორექტირების წინააღმდეგი.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობა და ქალაქმშენებლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით:

შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების გაწონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, ქვეყნის თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები;

განვითარდეს განსახლების დეცენტრალიზებული და პოლიცენტრული სტრუქტურა; საქმიანობა ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით იყოს სივრცით-ტერიტორიულად კონცენტრირებული და განვითარების ცენტრების სისტემაზე ორიენტირებული; დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;

შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;

მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების

(შემდგომში „წესების“) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება.

იმავე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურით. განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარება (რაციონალიზაცია, ინტენსივობის-სიმჭიდროვის ზრდა) დასაშვებია, მხოლოდ არსებული საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისობის ან გაუმჯობესების პირობებში. გაუანაშენიანებელი ტერიტორიების განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ სათანადო საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის პირობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N320 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182623326-67 (01182892634-67, 23.10.2018; 01183041368-67, 31.10.2018) განაცხადი, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5/ჯიქიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი მიწრო - უბანის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 31 მარტის N676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031831965-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ა. პოლიტკოვსკაიას N3, სანდრო ეულის N5/ჯიქიას N10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და მოიცავს 54 994 კვ.მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

„ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5/ჯიქიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი მიკრო - უბანის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 31 მარტის N676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმისა და „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N10, სანდრო ეულის ქ. N15-ის მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო - უბანის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N446 განკარგულების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 მაისის N 164 განკარგულებით დამტკიცდა მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორია გამოიჯნულია 41 მიწის ნაკვეთად. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დაგეგმილი სამუშაოების ნახევარზე მეტი განხორციელებულია და მშენებლობა დასრულებულია.

N01182771498-67 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო წინადადება ცვლილებას ითვალისწინებს მხოლოდ N10, N11, N12, N23, N23ა, N24, N28, N29, N33, N34, N35, N36, N37, N38 სექტორებისთვის. იცვლება შენობების განთავსება და მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმები.

N10 და N12 სექტორებში აღარ იგეგმება 12 სართულიანი საცხოვრებლის მშენებლობა. N11 სექტორში განთავსებული შენობა-ნაგებობა იცვლის კონფიგურაციას, ხოლო მის მიმდებარედ რეკრეაციულ სივრცეში დაგეგმილია მცირე ზომის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. (ჯიხურები). მათი განთავსება ასევე დაგეგმილია ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩის მხარეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის მთლიან გაყოლებაზე.

N23, N23ა, N24 სექტორებში დაგეგმილი 4-7 სართულიანი საცხოვრებლის ნაცვლად წარმოდგენილია 3-9 სართულიანი პარკინგის შენობა, რომლის ნაწილზეც შესაძლებელია განთავსდეს საცურაო აუზი და მისი ფუნქციონირებისათვის დამხმარე

შენობა-ნაგებობები. N28 და N29 სექტორებში განთავსებულმა შენობა-ნაგებობებმა მცირედით შეცვალეს კონფიგურაცია დადგენილი პარამეტრებისა და სართულიანობის უცვლელად. N33, N34 და N35 სექტორებში დაგეგმილი სამი 4 სართულიანი კომერციული შენობა-ნაგებობის ნაცვლად წარმოდგენილია არსებული სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია კომერციული ფუნქციით. N36 და N37 სექტორებში განთავსებულმა შენობა-ნაგებობებმა შეიცვალეს კონფიგურაცია და 15 სართულის ნაცვლად წარმოდგენილია 12 სართული. N38 სექტორში განთავსებული შენობა 22-ის ნაცვლად იქნება 12 სართულიანი.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით მნიშვნელოვნად არ იცვლება დაგეგმილი და ჩამოყალიბებული საცხოვრებელი განაშენიანება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ღია საცურაო აუზთან, სტადიონთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაოები არ არის დაზუსტებული. არსებული სარეკრეაციო სივრცის გაყოფა მცირე ზომის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით დასაშვებია მხოლოდ არსებული აუზის შენარჩუნების და ფუნქციონირების პირობით. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ აუზს ჩაანაცვლებს სექტორ N11-ში განთავსებული შენობა-ნაგებობა, ღია საზოგადოებრივი სივრცის შემოზღუდვა მიზანშეწონილი არ არის. ამასთანავე, ჯიხურები უნდა იყოს მსუბუქი კონსტრუქციის და არ უნდა მოხდეს ხე-ნარგავების დაზიანება. საძირკველიანი ჯიხურების განთავსებისთვის ან მათ მოსაწყობად, მიწის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, რეკომენდირებულია დაცული იყოს ხე - ნარგავიდან 3 მეტრიანი დამორება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ. N5/ჯიქიას ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი მიკრო - უბანის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 31 მარტის N676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182771498-67 განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

5. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N31-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (12-031832495-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, დადგენილია, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ანა

პოლიტკოვსკაიას N31-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს. კ. N01.14.05.006.118.) მისი ფართობი შეადგენს 18 761 კვ.მ.-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე -მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ვრცელდება ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-1, ხოლო მის მცირე ნაწილზე - სამრეწველო ზონა-1.

ტერიტორიას გააჩნია ორი მისასვლელი გზა, ერთი სამხრეთ მხრიდან ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩიდან ხოლო მეორე ჩრდილოეთით - ა. მინდელის ქუჩიდან შემომავალი ჩიხი. ნაკვეთი რელიეფურია, მისი ყველაზე მაღალ და დაბალ წერტილებს შორის განსხვავებაა 5-6 მეტრი. თუმცა მისი ძირითადი ნაწილი არ ხასიათდება ქანობით და ტერიტორია განაწილებულია ორ დონეზე, რომელთა შორის ვარდნაც შეადგენს 3 მეტრს. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია, არსებული ტერიტორიის სრულიად საზოგადოებრივ- საქმიანი ზონის შესაბამისად განვითარება. დაგეგმილია არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციული შენობის, პავილიონებისა და ავტოსადგომის მშენებლობა. ტერიტორიაზე საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია სატრანსპორტო ზონის გაჩენა, რომელიც აერთიანებს ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩასა და ა. მენდელის ჩიხს. ტერიტორიაზე ნარჩუნდება არსებული ხე-ნარგავები და ეწყობა მოსასვენებელი სივრცეები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის N 18-01182913939 წერილის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში – განაშენიანების რეგულირების წესები) მე-8 მუხლის 12 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი მწვანე ნარგავების შეაფასების დოკუმენტი(ტაქსაცია) არ არის თვალსაჩინო. კერძოდ, ვერ ხერხდება ხე-ნარგავების იდენტიფიცირება დასურათებული ჩამონათვალის მიხედვით. ასევე გაცნობებთ, რომ აუცილებელია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული გადასარგავი და მოსაჭრელი მცენარეების გეგმაზე ასახვა და ჩასატარებელი ღონისძიებების მკაფიოდ განსაზღვრა განმარტებით ბარათში. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზების კორექტირება და წარმოდგენა, შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 9 ნოემბრის N 16-01183134169 წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების

გეგმის პროექტის ეტაპზე წარმოსადგენია ავტოსადგომების რაოდენობა ფუნქციების მიხედვით:სამსახურეობრივი ფუნქციის ავტოტრანსპორტისთვის განკუთვნილი (მაგ, მობილური ჯგუფებისთვის); თანამშრომლებისთვის განკუთვნილი (ყოველდღიური მოხმარებისთვის - სამსახურში მისასვლელად); ვიზიტორებისთვის განკუთვნილი ; ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასებაში: არასწორია მოდალური განაწილების პროცენტული რაოდენობა. საჭიროა, მოდალური განაწილება გაანგარიშდეს მოტივის (მთავარი სამუშაო ადგილი) მიხედვით; წარმოსადგენია კვლევაში მოცემული თანამშრომელთა რაოდენობის წყარო; წარმოსადგენია საქვეითე ინვენტარიზაციის სათანადო რუკა.

ამასთანავე, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების ეტაპზე მნიშვნელოვნად შეიცვლება ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტში (AR1571752) წარმოდგენილი ფუნქციების (მაგ. ადმინისტრაციის შენობა, პავილიონი) ფართობები, საჭიროა ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების კომპონენტის შესაბამისი ცვლილებების მიხედვით დაკორექტირება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N31-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1571752 განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

6. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031833132-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 18 სექტემბერს N01182612752-67განცხადებით მიმართა ზურაბ საფოვემა (პ/ნ 01021001578) და მოითხოვა „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ძევერის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17

თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ოქტომბრის N28 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N14 განკარგულებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ განკარგულებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდა შემდეგი საკადასტრო ერთეულები: N01.17.13.007.022 N01.17.13.007.008 N01.17.13.007.004 N01.17.13.007.006, N01.17.13.007.012, N01.17.13.007.015, N01.17.13.007.019, N01.17.13.007.021, N01.17.13.007.011, N01.17.13.007.016, N01.17.13.007.002, N01.17.13.007.017, N01.17.13.007.005, N01.17.13.007.018.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ძევეროს დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N105 განკარგულებით შეტანილ იქნა ცვლილება ზემოაღნიშნულ გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდა შემდეგი საკადასტრო ერთეულები: N01.17.13.007.022 N01.17.13.007.008 N01.17.13.007.004 N01.17.13.007.006, N01.17.13.007.012, N01.17.13.007.015, N01.17.13.007.019, N01.17.13.007.021, N01.17.13.007.011, N 01.17.13.007.002, N01.17.13.007.017, N01.17.13.007.005. N01.17.13.007.018.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმარებით დავალებაში ცვლილებას განხორციელება, კერძოდ, საპროექტო არეალიდან ორი საკადასტრო ერთეულის N01.17.13.007.017; 01.17.13.007.005; ამორიცხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ძევეროს, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის საკითხი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182612752-67 განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

7. ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.14.05.008.204) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-0318323133-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. ასევე, ტერიტორიის მომიჯნავედ დაგეგმილია საგანმანათლებლო დაწესებულების (კერძო სკოლის) მშენებლობა, რაც ხაზს უსვამს საკვლევ არეალში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას და უზრუნველყოფას.

საპროექტო, მომიჯნავე ტერიტორიაზე, ჯამური ფართობით 20 168 კვ.მ. ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით N951 გაიცა გეგმარებითი დავალება, ხოლო 2009 წლის 27 იანვრის ბრძანებით N01/62 და ქ. თბილისის მერის განკარგულებით N2217 დამტკიცდა მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რის შემდგომაც, 2013 წლის 10 სექტემბერს ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით N958253 და ქ.თბილისის მერის N2006 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის -ს კორექტირებული პროექტი.

აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ნაწილი რეალიზებულია. ვინაიდან დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას განესაზღვრებოდა 5 წლიანი ვადა, იმ ნაწილზე რომელზეც არ განხორციელებულა დაგეგმილი მშენებლობა, 9440 კვ.მ.-ზე წარმოდგენილია ახალი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, რომელიც ფუნქციური დანიშნულებით არ განსხვავდება წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმისგან.

საპროექტო წინადადებით, არსებული ფუნქციური ზონირების, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და მისთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად დაგეგმილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის, 3-4 სართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების (პირველადი, საყოფაცხოვრებო მომსახურების) ობიექტების მშენებლობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არ ხდება სსზ-1-სათვის დადგენილი განაშენიანების კ-1 კოეფიციენტის სრულად ათვისება და კ-1=0,5-ის ნაცვლად წარმოდგენილია კ-1=0,3, რაც ხელ უწყობს მეტი გამწვანებული სივრცის შენარჩუნებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 1 ნოემბრის 01183053279 წერილის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-

39 დადგენილების მე-8 მუხლის 12 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად მონაცემებს (სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის ზოგადი მონახაზი/ესკიზი გამწვანების კოეფიციენტის შესაბამისად განსაზღვრული გასამწვანებელი არელების მითითებით). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე არ მოიცავს მოსაჭრელი/გადასარგავი ხეების აღწერას. ამასთან, გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას გამწვანების პროექტის ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 ნოემბრის N01183103611 წერილის თანახმად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გაანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე ავტობუსის უახლოესი გაჩერებები მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე დაახლოებით 150-200 მეტრის მანძილზე. შესაბამისად, კარგია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის ხარისხი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქვეითე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ხარისხი შედარებით დაბალია, თუმცა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემის განახლების მიმდინარე კვლევის ფარგლებში ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). შესაბამისად, სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებები აღნიშნული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას ქმნის. საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით მიმდებარე კვანძების ზოგიერთი მიმართულება გადატვირთულია. თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება, ან მინიმუმ, არსებულ ნიშნულზე დარჩენა. შესაბამისად, ნაკლებმოსალოდნელია აღნიშნული კვანძების გადატვირთვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების (0118283559-67) დამტკიცების წინააღმდეგი.

წარმოდგენილი წინადადებით საპროექტო ტერიტორია ვითარდება მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და მისთვის დადგენილი

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად, უზრუნველყოფილია სატრანსპორტო, საინჟინრო, დაგეგმილი სოციალური ინფრასტრუქტურითა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწოდებით. არ ხდება დადგენილი განაშენიანების კ-1 კოეფიციენტის სრულად ათვისება, რაც ხელს უწყობს მეტი გამწვანებული სივრცის შენარჩუნებას, ასევე შენარჩუნებული და დაცულია მიმდებარე არსებული და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით განსაზღვრულ განაშენიანებასთან, სტრუქტურასთან და მის მახასიათებლებთან ურთიერთმიმართება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, ჯიქიას ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.204) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი“, (საქმე №12-0318323133-03.11.09.2018წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №01182002488-67), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

8. ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-03183349-03).

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო წინადადება მოიცავს ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) რომლის ფართობია 10 000 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს2). იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (პზ).

ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) მოხვედრა შესაძლებელია კახეთის გზატკეცილის გავლით გ. ამილახვარის ქუჩიდან, რომელიც ტერიტორიას უშუალოდ დასავლეთით ესაზღვრება. ტერიტორია ხვდება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული არეოდრომის რაიონში“ (აფრენისას სიმაღლის ალების და დაფრენაზე შესვლის

ზედაპირების ნაწილი)შენობა-ნაგებობის დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან უმეტეს ნაწილზე 515 მ, ხოლო მცირე ნაწილზე - 513. განაშენიანების რეგულირების გეგმის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია შ.პ.ს. ტავ ურბან საქართველოს 2018 წლის 17 აგვისტოს TAV.GM.5064 წერილი რომლის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დასაშვებად მიჩნეულია 13,20 მ. სიმაღლის სამედიცინო ქირურგიული ძაფების საწარმოს შენობის განთავსება (საშუალო ზღვის დონიდან აბსოლუტური სიმაღლე 521.2 მ) და მშენებლობის პროცესში მიწის დონიდან +15.0 მ. სიმაღლის ავტოამწის გამოყენება. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით წარმოდგენილი შენობა-ნაგებობა არ ცდება აღნიშნულ ნიშნულს.

დადგენილია, რომ „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმისგეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N213 განკარგულებით ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044)დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული კვარტალი ჩამოყალიბებულია მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, ხოლო ტერიტორიის დასავლეთით არსებული გზის გადამა ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2, სადაც აღინიშნება არასისტემური ინდივიდუალური განაშენიანება და მდინარე ფორაქანისხევი.

საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას. იგეგმება სამედიცინო ქირურგიული ძაფების საწარმო ობიექტის და 3 დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსება. საპროექტო წინადადების შესაბამისად, ასევე, გათვალისწინებულია ტერიტორიის უმეტესი ნაწილის გამწვანება და სარეკრეაციო-დასასვენებელი სივრცის მოწყობა.

განცხადებაზე წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის N01182903737 წერილის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წარმოდგენილი პროექტის თემატური ნაწილი მოიცავს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას (გამწვანების პროექტის ჩათვლით), რომელზედაც სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 ოქტომბრის N9164/01 წერილის თანახმად, ქირურგიული ძაფები მიეკუთვნება

სამედიცინო დანიშნულების საქონელს და არა ფარმაცევტულ პროდუქტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც ეხება თბილისში, ორხევის დასახლებაში სამედიცინო ქირურგიული ძაფების საწარმოს მშენებლობას, არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის გავლას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული 01182782902-67 განაცხადი), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

9. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მ/რ-ის კორპუსი №28-ში (ს/კ №01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ თანხმობის მიცემის შესახებ.(№12-0318271148-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 9 და 23 თებერვალს, შუამდგომლობით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობამ, მოქალაქე ვეფხია ღვალაძისთვის ქალაქ თბილისში, ფონიჭალის მე-3 მიკრორაიონი კორპუს N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.017.01.128) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

10. ქ.თბილისში, რეხის ქუჩა №6-ში (საკ/კოდი№01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (#12-031828869-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2018 წელს შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი:

N01.16.08.004.068) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთა საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას 2018 წლის 26 სექტემბრის N18.799.1148 განკარგულებით მიზანშეწონილად მიაჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად-1 ლარად გადაცემა დაინტერესებული პირთათვის და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

11. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა, კორპუსი №29-ში (საკ/კოდი: №01.19.20.009.003.01.303) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (#12-031828869-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2018 წელს შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქ. კორპუსი N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.009.003.01.503) მდებარე უძრავი ქონების იოსებ ციციშვილისთვის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას 2018 წლის 26 სექტემბრის N18.800.1147 განკარგულებით მიზანშეწონილად მიაჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად-1 ლარად გადაცემა დაინტერესებული პირისთვის და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

12. ქ.თბილისში, გლდანის I მ/რ-ის კორპ.№15-ში (საკ/კოდი: №01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ თანხმობის მიცემის თაობაზე (#12-031828869-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2018 წელს შუამდგომლობის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობამ და ითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის I მიკრორაიონის კორპუს N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.007.013) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთა საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას 2018 წლის 26 სექტემბრის N18.798.1149 განკარგულებით მიზანშეწონილად მიაჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად-1 ლარად გადაცემა დაინტერესებული პირთათვის და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

13. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:№01.16.05.032.024) 23 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/ნ 202911055) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-0318317113-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1615903) მიმართა შპს „აჩის“ (ს/ნ: 202911055) დირექტორმა გია რაზმაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 5 წლის ვადით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია მიმდებარედ არსებული, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №43/გ.სუნდუკიანის ქუჩა №2-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.16.05.021.016.01.002). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 9 ოქტომბრის №60-01182822287 წერილით (რეგისტრ. №17-01182822371-61; 09.10.2018წ.) სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2018 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №4196370), ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

#004559818 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 3 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 140 (ოთხი ათას ას ორმოცი) ლარით. ქალაქ თბილისის მთავრობას, მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N18.888.1229 განკარგულებით მიზანშეწონილად მიაჩნია 5 წლის ვადით 4150 ლარის საიჯარო ქირის ოდენობით აღნიშნული ქონების იჯარით გადაცემა და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

14. ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: №01.19.34.004.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სვით მაინიასთვის“ (ს/ნ 442729665) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-0318317113-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN1605279; QN1634180) მიმართა შპს „სვით მაინიამ“ (ს/ნ: 442729665) და ითხოვა ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №46-ის მიმდებარედ 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.34.004.039) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, კორპუსი №46-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.008.01.503) უძრავი ქონება 2023 წლის 31 დეკემბრამდე ვადით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 აგვისტოს №60-01182262320 წერილის (რეგისტრ. №15-01182262360-61) მიხედვით, შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის მიზნით საყვავილეების და პოდიუმის განთავსება, იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ასევე მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #006234618 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური

საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 728 (ათას შვიდას ოცდარვა) ლარით. ქალაქ თბილისის მთავრობას, მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის N18.877.1273 განკარგულებით მიზანშეწონილად მიაჩნია 2023 წლის 31 დეკემბრამდე 1 1750 ლარის საიჯარო ქირის ოდენობით აღნიშნული ქონების იჯარით გადაცემა და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი: №01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/ რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი “ აი ია“-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-0318317113-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წერილით მიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია“-ს დირექტორმა ქეთევან ქიმოსტელმა და ითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა N1- ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550), სარდაფის სართულზე არსებული 376 კვ.მ ფართის (მათ შორის I დონე 319.76 კვ.მ და II დონე 56.48 კვ.მ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია“-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. ასევე აიღო ცენტრმა ვალდებულება, რომ სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაცნობიდან) 2 (ორი) წლის ვადაში განახორციელებს არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N18,881.1257 განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

16. ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, კომისიამ განიხილა „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 17 ოქტომბრის №18.834.1211 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის საკითხი: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

17. ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.006.052) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ტერაბანკისთვის“ (ს/ნ 204546045) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN1629420 და QN1600044) მიმართა სს „ტერაბანკმა“ (ს/ნ:204546045) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა

N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.18.04.006.052) იჯარით გადაცემა, კიბის უჯრედისა და პანდუსის მოწოდებული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის N37- ში არსებული უძრავი ქონებიდან 126 კვ.მ ფართი (ს/კ: № 01.18.04.006.001.01.518). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 6 ივნისის N60-01181572801 წერილით გაიცა დადებითი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქ.თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N37-ის მიმდებარედ არსებული 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში კიბის უჯრედისა და პანდუსის მოწყობის მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #004949718 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

18. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე“-სთვის (ს/ნ 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკილხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1602655) მიმართა შპს „მოდინახე“ (ს/ნ: 439393835) და ითხოვა ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.33.001.264) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.19.33.001.215) უძრავი ქონება 2019 წლის 31 დეკემბრამდე ვადით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 2 აგვისტოს №60-01182143309 წერილის (რეგისტრ. №15-0118215176-61; 03.08.2018წ.) მიხედვით, შესაძლებლად მიაჩნია არქიტექტურის სამსახურს მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის მიზნით საყვავილეების განთავსება. იმ პირობით თუ დაცული იქნება ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ასევე მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას, თუმცა საჩრდილობის და სკამების დიზაინი დასახვეწია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #006232218 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 832 (ორი ათას ორასოცდათორმეტი) ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

19. ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვმ ,იწის ნაკვეთის (ს/კ:№01.14.11.036.011) პირდაპირი განკარგვის წესით მაია ჩავლეიშვილისთვის (პ/ნ:01021017124) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (NQN1631862 და NQN1604794) მიმართა მაია ჩავლეიშვილმა (პ/ნ: 01021017124) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.14.11.036.011) იჯარით გადაცემა, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მცხეთის ქუჩა N4-ში არსებული უძრავი ქონება (ს/კ: № 01.14.11.036.006.01.515). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 4 ივლისის N67-01181853193 წერილით გაიცა დადებითი პოზიცია, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის - ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქ.თბილისი, მცხეთის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #005637818 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 13 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1200 (ათას ორასი) ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

20. ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანი“-სთვის (ს/ნ 405241563) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1610148) მომართა შპს „ბურგერ ბარ კომპანიმ“ (ს/ნ: 405241563) და ითხოვა ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.13.05.002.089) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.13.05.002.059) უძრავი ქონება 2023 წლის 1 იანვრამდე ვადით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 24 სექტემბრის №60-0118267535 წერილის (რეგისტრ. №12-0118267699-61; 24.09.2018წ.) მიხედვით, შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთზე ღია კაფის მოწყობის მიზნით საყვავილეების და მსუბუქი კონსტრუქციის (ხის) ბაქნის განთავსება. იმ პირობით თუ დაცული იქნება „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ასევე მიწის ნაკვეთზე მაგიდების და სკამების განთავსება არ საჭიროებს აღნიშნული სამსახურის მხრიდან წერილობითი დასტურის ან მშენებლობის ნებართვის გაცემას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #005700818 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 744 (სამი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

21. ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: №01.18.03.061.041) 20 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არტ - მონტესთვის“ (ს/ნ 406159151) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1620022) მიმართა შპს „არტ-მონტემ“ (ს/ნ: 406159151) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის მიმდებარედ არსებული 422 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.041) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, 4 წლის ვადით, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, ბამბის რიგი №12-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.005.01.504), 2020 წლის 30 ნოემბრამდე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 სექტემბრის №60-0118253176 წერილით (რეგისტრ. №15-01182531378-61; 10.09.2018წ.) სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №3190512), ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #004596818 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 4 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 800 (ოთხი ათას რვაასი) ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

22. ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.13.012.030) პირდაპირი განკარგვის წესით თამარ შეითნიშვილისთვის (პ/ნ 01005002157) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832030-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1607080) მიმართა თამარ შეითნიშვილმა

(პ/ნ: 01005002157) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.10.13.012.030) სარგებლობის უფლებით გადაცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (ს/კ:№ 01.10.13.012.008.01.031). აღსანიშნავია, რომ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2009 წლის 15 ივლისის ხელშეკრულებისა და „ქ.თბილისში, ქ.შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.10.13.012.030) არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფიზიკური პირისთვის - თამარ შეითნიშვილისთვის (პირადი ნომერი: 01005002157) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 აპრილის №01-4/98 ბრძანების საფუძველზე (რომელიც უთანაბრდება ხელშეკრულებას) თამარ შეითნიშვილს (პ/ნ: 01005002157) აღნაგობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით 2024 წლის 15 ივლისამდე ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: № 01.10.13.012.030). იმის გათვალისწინებით, რომ აღნაგობის უფლების მქონე პირის მიერ არ სრულდებოდა აღნაგობის ქირის გადახდის ვალდებულება „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №42-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.13.012.030) აღნაგობის უფლების შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 22 მაისის №61.01181422 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე შეწყდა აღნაგობის უფლება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #004961518 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 720 (შვიდას ოცი) ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

23. ქალაქ თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 66 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პასტორალისტვის“ (ს/ნ 404432716) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით,

24. ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ.№8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031832031-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 18 სექტემბრს წერილით მიმართა ამხანაგობა „დიდუბის III შესახვევი№27“- ის (ს/კ: 205356960) თავმჯდომარემ და მოითხოვა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ. №5-ში მდებარე 386 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.13.05.008.013) სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.08.006.627) გადაცემა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პროექტის შეთანხმებისა და საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შემდგომ ქ. თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ#5-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული მშენებლობა გააპროტესტეს მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებმა და მათი ადმინისტრაციული საჩივრების შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეაჩერა მშენებლობის ნებართვა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, ამხანაგობას შესთავაზეს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, რაზედაც ამხანაგობამ თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ მოხდებოდა სამშენებლო პროექტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. დიდუბის რაიონის გამგეობამ მზადყოფნა გამოთქვა, აღნიშნული მიუწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში, დააფინანსოს შესაბამისი სამუშაოები.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

25. ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ.№34-ის მიმდებარედ არსებული 108000 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში ,ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.01.002.263) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031823134-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, შპს „არმლენდერ ასოშიეიტის“ (ს/ნ: 204943357) დირექტორმა, 2018 წლის 31 აგვისტოს და 2018 წლის 14 ნოემბრის განცხადებებით (რეგისტრ. #19/01182432233-01; #10/01183181822-01) მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირიდან კუს ტბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებული 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.14.10.001.008) გაცვლა ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. #34-ის მიმდებარედ არსებულ 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა (ს/კ: #01.18.01.002.260) და ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებულ 10294 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (ს/კ: #01.18.01.002.263). 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: #01.14.10.001.008) კომპანიას საკუთრებაში გადაეცა გარკვეული საპრივატიზებო პირობებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით (2011 წლის 15 აპრილს დამატებით გაფორმებული ცვლილების ხელშეკრულების (შეთანხმების) გათვალისწინებით). სანაცვლოდ, კომპანიამ ქალაქ თბილისის თვითმმართველერთეულს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა მიმდებარედ არსებული 3720 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: #01.14.10.002.009). ერთ-ერთი საპრივატიზებო პირობა ასევე ითვალისწინებს მიწის ნაკვეთზე ტურისტული-სასტუმროსმშენებლობას გარკვეულ ვადაში, არანაკლები 250000 ლარის ინვესტიციის განხორციელებით. კომპანიის დირექტორი განმარტავს, რომ ამ საპრივატიზებო პირობის შესრულება ვერ განხორციელდა არაერთი მცდელობისმიუხედავად, მერიის შესაბამის უწყებასთან სამშენებლო საკითხების შეთანხმების მიუღწევლობის გამო (უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის #23.23.470 განკარგულებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის #247 განკარგულებით, კომპანია გათავისუფლდა 2020 წლის 1 აპრილამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან). ასევე აღნიშნავს, რომ არაერთხელ გაპროტესტებულა კუს ტბის და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება, სარეკრეაციო ზონად მიჩნევის გამო. კომპანია ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სთავაზობს ვაკის პარკის მიმდებარედ სარეკრეაციო სივრცედ განხილული მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნებას.

აღსანიშნავია, რომ სარეკრეაციო სივრცეები და მათი განვითარება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დედაქალაქისთვის. კომპანიის წინადადება ამ მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო სივრცედ შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. მის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიც, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი 2018 წლის 25 სექტემბრის #18-01182681233 წერილით. ხოლო, სანაცვლოდ შერჩეული მიწის ნაკვეთების განკარგვა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიისურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, სააგენტოში წარდგენილი 2018 წლის 13 ნოემბრის #67-01183172676 წერილის თანახმად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთების კომპანიისთვის გადაცემა, მათი - როგორც განაშენიანების არმქონე ტერიტორიების შემდგომი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზემოხსენებული ხელშეკრულებებიშეთანხმებულია საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს პრეზიდენტთან. ხოლო, ხელშეკრულების საგნის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უკან დაბრუნება იწვევს შეთანხმებული, მოქმედი ხელშეკრულებითგანსაზღვრული საინვესტიციო პირობის შესრულების ვალდებულებისგან ამ კომპანიის გათავისუფლებას, რაც შესაძლებელია მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სასურველია, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობისა, ეს მიწის ნაკვეთი შენარჩუნდეს გამწვანებულ, სარეკრეაციო სივრცედ. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მთავრობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკითხი განხილულ იქნეს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მუნიციპალიტეტისორგანოებისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები მოქმედი ხელშეკრულების საგნის თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღების და სანაცვლოდმოთხოვნილი ნაკვეთების კომპანიისთვის გადაცემის თაობაზე. ხაზგასასმელია, რომ კომპანიას ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე ნაკისრი აქვს სასტუმროს მშენებლობა და ამ მიზნით არანაკლებ 250 000 ლარისინვესტიციის განხორციელება. ვინაიდან საკითხი განიხილება საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საკითხი განხილულ იქნეს საინვესტიციო ვალდებულების მოხსნის გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. #006898318 და #007262218 ექსპერტიზის დასკვნებით დაშემდგომში დამატებით სააგენტოში წარდგენილი, აღნიშნული უწყების 2018 წლის 9 ნოემბრის #5007171518 წერილის მიხედვით, 2018 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქ. #34-ისმიმდებარედ არსებული 108000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.260) საბაზრო ღირებულება, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5529600 (ხუთი მილიონ ხუთას ოცდაცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით. ხოლო, ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში არსებული 10294 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.18.01.002.263) საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 527053 (ხუთას ოცდაშვიდი ათას ორმოცდაცამეტი) ლარის ოდენობით. რაც შეეხება 2280 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს/კ: #01.14.10.001.008), მიუხედავად ამ მიწის ნაკვეთის მიმართ მოქმედი პარამეტრებისა (კ1 - 0.3; კ2 - 1.0; კ3 - 0.5), მისი შეფასებისას #007727618 ექსპერტიზის დასკვნაში ექსპერტიზის მიერ გათვალისწინებულ იქნა ქ. თბილისის მერის 2011 წლის 26 დეკემბრის #3030 განკარგულებით ამ მიწის ნაკვეთზე გაცემული

სპეციალური ზონალური შეთანხმების ფარგლებში არსებულიკოეფიციენტები (კ1 - 0.5; კ2 - 2.0), რაც ასევე განსხვავდება 2011 წლის 15 აპრილს კომპანიასთან დამატებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში (შეთანხმებით) მითითებული პარამეტრებისგან. ეს ნაკვეთი შეფასდა 2 232 000 (ორი მილიონ ორას ოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარად და მიზანშეწონილია საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს მისი საბაზრო ღირებულება - ეროვნულ ვალუტაში, არსებულიმდგომარეობით.

კომისიის სხდომაზექონების ადგილმონაცვლების საკთხს საოქმოდ უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა ბატონმა ვახტანგ შაქარიშვილმა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი ხმათა უმრავლესობით გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

26. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-03183345-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 2-ის დანართი არეგულირებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის პირობებს. პრაქტიკაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს აღნიშნულ პირობებში. კერძოდ, სარგებლობის საფასური გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, მაგრამ არაუგვიანეს 12 თვისა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში მოსარგებლეთა მიერ შეტანილი განცხადებების სიხშირის გათვალისწინებით, რომლებიც ძირითადად გადაცემული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის ვადის გაზრდის თხოვნით არის მოტივირებული, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სააგენტოს გადაწყვეტილებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს საფასურის გადახდის პერიოდულობა, თუმცა აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. აღნიშნული მოსარგებლეებს ხელს შეუწყობს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

27. ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვმ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ №01.18.03.045.019) 37 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალა“-სთვის (ს/ნ:404433029) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა შპს „კალა“-ს (ს/ნ № 404433029) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ის ქუჩაზე რეგისტრირებული 1136 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.18.03.045.019) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, 2020 წლის 01 ივნისამდე, ღია კაფის მოსაწყობად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

28. ქალასქ თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზ.№25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.10.15.010.022) პირდაპირი განკარგვის წესით მზია ბიწაძისთვის (პ/ნ 01024036486) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031832031-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN622402) მიმართა მზია ბიწაძემ (პ/ნ: 01024036486) და ითხოვა ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებული 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.15.010.022) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად, 5 (ხუთი) წლის ვადით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი იჯარით იყო გადაცემული მასზე წლიური საიჯარო ქირით - 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №25ა-ს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (ს/კ: №01.10.15.010.013). სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის

21 აგვისტოს №60-01182292720 წერილის (რეგისტრ. №17-01182332665-61) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. აღნიშნული პოზიცია განმცხადებელს ეცნობა სააგენტოს 28.09.18წ. №61-01182712267 წერილით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #006223218 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4032 (ოთხი ათას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

29. ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ.№18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-031832031-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ.№18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.11.014.028) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ო-ემ ჯგუფისთვის“ (ს/ნ 404548245) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN601040) მიმართა შპს „ო-ემ ჯგუფის“ (ს/ნ: 404548245) დამფუძნებელმა და დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.11.014.028) კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიის დამფუძნებელი იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქ. №18-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №2-ს (საკადასტრო კოდი: №01.14.11.014.007.02.500), 2019 წლის 22 თებერვლამდე. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 9 აგვისტოს №60-0118221216 წერილის (რეგისტრ. №12-0118221315-61; 09.08.2018წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული

უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. აღნიშნული პოზიცია განმცხადებელს ეცნობა ელექტრონული შეტყობინებით (QN1279841MS; 09.10.18წ.) და სააგენტოს 12.10.18წ. #61-01182853810 წერილით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #006904318 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 576 (ხუთს სამოცდათექვსმეტი) ლარით.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რ. სოხაძე

რევაზ სოხაძე